

10. საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე, 1993 წლის 27 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე ითვალისწინებს რა, რომ:

რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული კონტიგენტი აქტიურად მონაწილეობს საომარ მოქმედებებში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ,

რუსეთის უზენაესმა საბჭომ არაერთხელ მიიღო დადგენილებები, რომლებიც უხეშად ლახავს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს,

რუსეთმა დაარღვია მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულება,

რუსეთის დელეგაციის ობსტრუქციული პოზიციის შედეგად პრაქტიკულად უნაყოფოდ დამთავრდა რუსეთ-საქართველოს სოჭის მოლაპარაკება; რუსეთის მხარემ ყურად არ იღო საქართველოს ხელისუფლების სახელით დაყენებული სამართლიანი მოთხოვნები,

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის განცხადებებსა და დადგენილებებში (1992 წლის 17 დეკემბერი, 1993 წლის 25 თებერვალი, 16-18 მარტი, 1 აპრილი და სხვ.) არაერთხელ იქნა განცხადებული მოთხოვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე,

რუსეთის ჯარებისა და აფხაზი სეპარატისტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ქართველი მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას,

საქართველოს პარლამენტს მოვლენათა ტრაგიკული განვითარების უმთავრეს მიზეზად მიაჩნია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა,

და ადგენს:

1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მიმართოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია 1993 წლის 25 აპრილის რეფერენდუმში, გამოიყენებს თავის ძალაუფლებას და უახლოეს ხანში მიიღებს გადაწყვეტილებას კონფლიქტის ზონიდან ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანისათვის.

2. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აფხაზეთის კონფლიქტის ზონა მდინარე გუმისთის ჩრდილო-დასავლეთით, რუსეთ-საქართველოს

საზღვრამდე, ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესაბამისი საკითხი დასვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედებისათვის.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

**1993 წლის 27 აპრილი.**

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993, # 5-8, გვ. 135-137)